წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | სამშაბათი, 19 აპრილ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

...ჩვეულ...
...ხე...
კნელზე—
ლებულ გა...
ქონი პეტიტი...
20 კ., ტექსტში...
განცხადება თით...
ათამდე ღირს 3 მა...
(მიიღება მხოლ. გაბა...
ა. კალანდაძის სტამბა...
დამატებიანი № ღირს ყ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

## ახალი კლუბი

**სამშაბათს, 19 აპრილს,** გაიმართება (მესამეჯერ თბილისში)

## სიტყვა-მუსიკობა
## (ლექცია-კონცერტი)
## კ. ფოცხვერაშვილისა

**კონცერტი უფასოა.** ✦ დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.
კლუბში შესასვლელ ფასს იხდიან: მანდილოსნები და ფორმით გამოწყობილი სტუდენტები 65 კაპ. მამაკაცები 1 მან. 5 კაპ.
(1-85-1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(**მიხაილოვის პროსპექტი № 129**)

სამშაბათს, 19 აპრილს, სინემატოგრაფი
ოთხშაბათს, 20 აპრილს, სიმფონიანი ორკესტრი
ხუთშაბათს, 21 აპრილს, სინემატოგრაფი
პარასკევს, 22 აპრილს, საზანდარი
შაბათს, 23 აპრილს, სიმფონიანი ორკესტრი
კვირას, 24 აპრილს, სიმფონიანი ორკესტრი
(1-89-1)

## საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

## ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**
(112—წ.)

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

## მოდური მაღაზია
## მ. ბაშარულისა

სასახლის ქუჩაზე
იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი
## მხოლოდ ევროპიული

(—83—6)

## ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილ.

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
**ტელეფონი, 17—21.**

**ნაფიცი ვექილის თანაშემწე**
## გიორგი თევდ.-ძე ჟორდანია,

რომელსაც დავალებული აქვს განსვენებულის კერძო ვექილის
## ილია ივანეს ძის ნატროშვილის

საქმეების მოწესრიგება, უმორჩილესადა სთხოვს განსვენებულის კლიენტებს, ვისაც ჯერ არ მოუკითხავთ თავისი საქმეები, დროზე მოიკითხონ. ნახვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, საღამოს $5^1/_2$—7 საათამდე. სასამართლოს ქუჩა, № 26, ტელეფონი № 17—00. (3—87—1)

**გამართულია ხელის მოწერა**
## კიკნა-ფშაველის

**პოემების და ლექსების კრებულზე,** რომელსაც დაერთვის ბიოგრაფია-წინასიტყვაობა და **დ. კასრაძის** კრიტიკული წერილით.
**წიგნი ეღირება ათ შაურად.**

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## გიორგი ილიას ძის
## ჩუბინაშვილისა

**მისამართი: ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.**
(თ—81—4)

**18 აპრილიდან**
## ვასწავლი

ქართულ „**სიმღერა-გალობას**“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა
**მიხეილ კავსაძესთან**
(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობ. საღ. 6-9-დე).
**ვასწავლი მუშა ხალხსაც.**

## ვაგზლის საავადმყოფო სამკურნალოში

(**შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით**)
## სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—18)

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
## ახალი აფთიაქი

✦ **პროვიზორის ახვლედიანისა** ✦

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 16 აპრ. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** მტერმა ცეცხლი გააჩინა შლიკ-ხერზემიუნდისკენ. დვინსკის დასავლეთით, გინოვკის მიმიდამოებში საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, გერმანელებმა წინ წამოიწიეს სანგრებისკენ, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა უკუ აქცია.

15 აპრილს, ღამის 2 საათზე რეციცეზე გამოჩნდა გერმანელთა ჯავშნოსანი საფრენი და ჩამოყარა საკმაო რიცხვი წასაკიდ-ასაფეთქებელი ყუმბარებისა. ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებმა საშინლად აამოქმედეს არტილერია, რის შემდეგ მტრის ქვეითა ჯარი ხშირ ჯგუფად წამოვიდა. მათ მალე დაიბრუნეს ადრე დაკარგული თხრილები. ზანაროჩ-სტახოვცის ასპარეზზე საშინელი ბრძოლაა. სმორგინის მიდამოებშიაც მოქმედობს გერმანელთა არტილერია.

**შავი ზღვა.** ჩვენმა წყალქვეშამ, რომელიც უვნებლად გადარჩა მტრის მფრინავებს, ბოსფორში ორთქლმავალი და იალქნიანი გემი ჩასძირა.

**კავკასიის ასპარეზი.** ერძინჯანის მიმართულებით უკუ ვაგდეთ მტერი და დასავლეთისკენ დავახევინეთ.

**პეტროგრადი,** 17 აპრილი. უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან. დასავლეთის ასპარეზი. რიგის მიდამოებში მტერმა ზარბაზანი დაუშინა შლოკს და მის მიდამოებში კუნძულ დედაინის სამხ(რ)ეთით. აგრეთვე ამოღებულ იქმნა ნიშანში სადგურ ზედაბურგის ახლო მიდამო იაკობშტატის ჩრდილო-დასავლეთით. დვინის მიდამოებში ზარბაზნებით ბრძოლაა. ნაროჩის ტბის დასავლეთით სიწყნარეა.

**კავკასიის ასპარეზი-** დიარბექირის ხაზზე მოვიგერიეთ ოსმალთა მოწინავე რაზმის შემოტევა.

—

**პარიზი,** 15 აპრილი ოფიციალი. დღის ცნობა. მთელი ღამის განმავლობაში ღირს შესანიშნავი არა მომხდარა-რა, გარდა საარტილერიო ბრძოლისა ავოკურ-ენის მიდამოებში. გუშინ დილით, რამდენიმე ბრძოლა მოხდა ჰაერში. ამ ადგილებში ოთხ ჰაეროპლანამდე დავაზიანეთ და ჩამოვაგდეთ.

**პარიზი,** 15 აპრილი, ოფიციალი. საღამოს ცნობა. ბუა-დე-ბუტტეს მიდამოებში, ენის ჩრდილოეთით, არტილერია ახმაურდა. ასევე მოქმედობს არტილერია მალანკურის ტყის ნაწილში მაასის დასავლეთით. პუავრის და დუომონის სიმაღლეთა შუა, მაასის აღმოსავლეთით, ყუმბარების სროლა გრძელდება. ვევრში, დღემ წყნარად ჩაიარა. 15 აპრილს ღამით, ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს, ოდენლერომანის სადგურს და სპენკურას ახლო ყაზარმებს, აგრეთვე გრანდპრეს და მალლერონჯის სადგურთ.

**ლონდონი,** 14 აპრილი, ოფიციალი ცნობა. 143 დღის წინააღმდეგობის გენერალი ტოუსენდი იძულებული გახდა კუტელამარში მტერს დანებებოდა. მან გაანადგურა მთელ სურსათი და იარაღი. მთელ ჯარში იყო 2970 ინგლისელი და 6000 ინდოელი.

**ლონდონი,** 16 აპრილი. დუბლინიდან იტყობინებიან აღდგომის ორშაბათს სიწყნარე იყო, უეცრად, ახალგაზდობამ არეულობა მოახდინა და აღმართა მწვანე დროშა. დაჭერილ იქმნა აგრეთვე სენსტინგიცკრინის პარკი, ჯეკობსის ქარხანა, სასამართლო დაწესებულებათა შენობა და მთელი რიგი, საკვილსტრიტის სახლებისა. მეციხოვნე ჯარმა საღამოთი შეაჩერა აჯანყება დუბლინში. მეორე დღით, ჯარებმა გასწმინდა სტივინგრიტი, აჯანყებულთ ვერაფერი იხსნის. „გაზ. „ტაიმსი“ ამბობს: ირლანდიის ამბოხება გერმანელთა ომის გეგმაში შედისო.

**ბერნი.** გერმანელ მფრინავთ სასტიკად აკრძალული აქვთ, შვეიცარიაში გადაფრენა, ამითი გერმანელთა სამართველოს ჰსურს, მოსპოს ყველა უსიამოვნება გერმანეთ-შვეიცარიის შორის.

**ჰავრი,** 16 აპრილი ბელგელთა ცნობა, არტილერია მძიმედ მოქმედებდა, ხოლო, რამსკაპელდებს და დიქსმიუდეს მიდამოში მოხდა მცირე სროლა ზარბაზნებისა.

**პარიზი,** 16 აპრილი. საღამოს ოფიციალი ცნობა. ვერდენის მიდამოებში ზარბაზნების სროლა იყო ავოკურის ტყეში და შემდეგ „304“ სიმაღლესთან. ჩვენი არტილერია მედგრად უპასუხებდა. გავანადგურეთ ედიკურის სადგური და სენ-მიელი. ჩრდილოაღმოსავლეთით რამდენიმე ვაგონი. 16 აპრილს, ღამით, ჩვენმა მფრინავებმა მიუხედავად ქარისა ყუმბარები დაუშინეს აგანის მიდამოებში ჩრდილოეთით მდებარე ბანაკს და ჰეიანჯის ქარხანას, რომელშიაც ჩვეულებრივი მუშაობა სწარმოებდა.

**პარიზ,** 16 აპრილი. უეცარი თავდასხმით ღამე, ტურდე-პარის, ჩრდილოეთით მტერს დავატოვებინეთ სანგრები და რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ. მაასის მარცხენა ნაპირას, საღამოს 5 საათზე, გერმანელები ცდილობდნენ წინ წამოწეულიყვნენ „304“ მაღლობის ჩრდილოეთით, მაგრამ გავფანტეთ. ჩვენმა არტილერიამ ააფეთქა ყუმბარების საწყობი. მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდა ზარბაზნებით ბრძოლა, როგორც ვოკუა-ენის მიდამოებში, ისე „304“ სიმაღლესთან. მაასის მარჯვენა ნაპირას საღამოთი არტილერიის დახმარებით გერმანელებმა იერიში მიიტანეს მოწინავე სანგრებზე, იხმარეს ადუღებული სითხე. მაგრამ დიდის ზარალით უკან დავახევინეთ. ამავე დროს შევაჩერეთ მტრის იერიში დუომონ-ვოს წინააღმდეგ. ლორენში მოვიგერიეთ მტრის მზვერავი რაზმი. ჩვენსავე მიერ შეჩერებულ იქმნა მტრის იერიში ერთ-ერთ სანგრის წინააღმდეგ შაპედასტაცთან.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ტრაპიზონი და სასულიერო უწყება.**

ტრაპიზონის აღებამ, პეტროგრადის სასულიერო წრეებში გამოიწვია დიდი ფიქრები და მოლოდინი. საგანი ასეთის გაცხარებულის სჯა-ბაასისა, არის ტრაპიზონის კათედრა, რომელიც ექვემდებარება მსოფლიო პატრიარქს.

ზოგიერთთა აზრით, ეს შემთხვევა დააჩქარებს საეკლესიო კრების მოწვევას და საბოლოოდ გადაწყვეტას პატრიარქობის აღდგენა რუსეთში.

მალევე უნდა გადასწყდეს, საკითხი, თუ ვის უნდა დაემორჩილოს ტრაპიზონის მიტროპოლიტი, რუსეთის უწმ. სინოდს თუ მსოფლიო პატრიარქს, რომლის საყდარი იმყოფება სტამბოლში.

რუსეთის ეკლესიის ზოგიერთი იერარქები და სინოდის მოხელენი, ფრიად საჭიროდ სცნობენ საექსარხოსის დაარსებას ტრაპიზონში, ისე რო-

კულტურულ სახელმწიფოს ექვემდებარებოდეს, მაინც თავისუფალ დ დამოუკიდებელს ცხოვრებას ირჩევს. ინგლისი, თქმა არ უნდა, არავითარ საშუალებას არ დაზოგავს, რომ აჯანყება ჩააქროს.

ინგლისი ვერ შესდგება თვით უსაშინელესი სისასტიკის წინაშეც, რათა აჯანყების აჩრდილიც კი გააქროს. ირლანდიის დაკარგვა მეტად საბედისწერო იქნებოდა ინგლისისათვის. ეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ ახალშენებს განთავისუფლების სურვილს აღუძრავს. ინდოეთი, ტრანსვაალი და სხვები ისეთი შორეული ახალშენებია, რომ ინგლისმა თუ თავის ცხვირწინ ვერ შესძლო აჯანყების ჩაქრობა, იქ მით უმეტეს ველარ გასწვდება.

ამიტომაც, თვით ინგლისის პარლამენტში მოიწონეს ყოველივე უკიდურესი ზომების მიღება და მეამბოხეთა განუკითხავად დასჯა.

თუ რამდენად მაღალ ზნეობრივი საქციელი ჩაიდინეს ირლანდიის ამბოხების მომწყობებმა, როდესაც საბედისწერო მსოფლიო ომში ჩაბმულ ინგლისს ზურგიდან სასიკვდილო ხანჯალი ჩასცეს, ამაზე უკვე მთელი მსოფლიოს ვერაგულმა პოლიტიკამ არა ერთხელ გასცა პასუხი, იმით რომ პოლიტიკაში, არც ერთი მებრძოლი დიდ ანგარიშს არ უწევს ზნეობრივს მხარეს და მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობენ. ამიტომაც ამ მხრივ დიდი სახელმწიფოებიც წვრილ სახელმწიფოებს უზნეობას ვერ უკიჟინებენ.

რამდენად შესაძლებელია ირლანდიამ მიაღწიოს მიზანს? დღეს არავის ეჭვი არა აქვს, რომ ინგლისი, რაც უნდა მრავალ რიცხოვანი იყოს ირლანდიის აჯანყება, მაინც გასრესს მეამბოხეთ; ვერც გერმანეთის დახმარება უშველის დღეს-დღეობით მათ, რადგან გერმანეთს თავისი თავი გაჭირვებია და ზღვაზე გაბატონებულს ინგლისს რას დააკლებს. მხოლოდ, თუ გერმანეთმა მსოფლიო ომში გაიმარჯვა, შესაძლებელია მსოფლიო კონგრესზე ირლანდიაზეც ითქვას რამე. თუ გამარჯვებულად ინგლისი გამოვიდა, უნდა ვიფიქროთ, რომ განათლებული ინგლისი შურს არ იძიებს მთელს ერზე და არც უკიდურეს რეპრესიებს მიმართავს ირლანდიელების წინააღმდეგ და მეამბოხეთა აწინდელი სასტიკი დასჯით დაკმაყოფილდება.

## დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

„ბირჟევია ვედომოსტ“-ს ატყობინებენ: სტამბოლში ენვერ-ფაშა მოუწოდებს ახალგაზდებს მოხალისედ ჩაეწერნენ ჯარში.

—

მოსკოვიდან საჩქაროდ გაიგზავნა ტრაპიზონში ბოქაულები, მათი თანაშემწენი და ასი პოლიციელი.

—

ოსმალეთის ზოგიერთ ქალაქში ხალხმა დემონსტრაცია მოახდინა მთავრობის წინააღმდეგ ტრაპიზონის დაცემის გამო.

—

პეტროგრადში ჩამოვიდა გენერალი რუზსკი, რომელიც სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობას მიიღებს.

—

გადაწყვეტილია ფონ დერ-გოლც ფაშას გვამი ბერლინში გადაასვენონ.

—

ხოფიაზედ გაიარა ოსმალეთში მიმავალმა ავსტრიის ჯარმა.

ლ. ჯ.

—

(მოსკოვის საკ. კორესპოდენ.)

სინოდის ერთი ნაწილი წინადადებას იძლევა ტრაპიზონის ეკლესია საქართველოს საეგზარხოსოს შემოუერთოს.

—

ფიქრობენ, გერმანელების უკანასკნელი გამოსვლა დასაწყისია მომავალ დიდ ბრძოლის, ზღვასა და ჰაერში ინგლისის წინააღმდეგ.

—

რუსეთის ასპარეზზე გერმანელებმა ბრძოლა გააძლიერეს ნაროჩის მიდამოებში და წინად დათმობილი ადგილები დაიბრუნეს.

—

რუმინეთმა და ოსმალეთმა სავაჭრო ხელშეკრულობა დასდეს.

—

ს.-დ. მეთაური ლიბკნეხტი ნაციონალ ლიბერალების მეთაურებმა გალახეს. ს.-დ. ფრაქციამ ამის გამო რეიხსტაგში პროტესტი განაცხადა.

ბ. ჰ.

# დეპეშა

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**ოზურგეთი**

**16 აპრილს, სუფსის სადგურიდან ექვსი ვერსის მოშორებით, თავისი მამულის მახლობლად, მოჰკლეს ცნობილი მემამულე ვანო გურიელი.**

**მუმლაძე.**

# ახალი ამბავი

◆ **მეფის ნაცვალი დიდი მთავარი** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბათომს გაემგზავრა.

◆ **სასიამოვნო ამბავი.** როგორც დანამდვილებით გავიგეთ ძვირფას მამულს ბარონ-ფონ-კუჩენბახისას ბორჩალოს მაზრაში იძენს თავად-აზნაურობა და ცნობილი მრეწველი ბ. კეზელი, რომელსაც მერძეობის ქარხანა ჰქონდა ამავე მაზრაში. ზომით ეს მამული დაახლოვებით ათას ოთხას დესეტინას უდრის. პატრონი ნახევარ მილიონ მანეთს აფასებს.

◆ **გორის სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება 23 აპრილსაა დანიშნული. კრება განიხილავს სხვათა შორის საბჭოს მოხსენებას ერობის შემოღების შესახებ.

◆ **გაემგზავრა** ქუთაისს, გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე.

◆ **უმაღლესი ჯილდო.** პოლკოვნიკ თ-დ წულუკიძეს, რომელიც ამ ჟამად კავკასიის შტაბშია ჩარიცხული, უმაღლესად ებოძა გენერალ მაიორობა, ხოლო პოდპოლკოვნიკობა სამხედრო მიმოსვლათა უფროსთან ჩარიცხულ კაპიტან ბახუტაშვილს.

◆ **სახელმწიფო სათათბიროს წევრი** მ. ი. პაპაჯანოვი გაემგზავრა პარიზს, სადაც მონაწილეობას მიიღებს ეკონომიურ კონფერენციის მუშაობაში.

◆ **„ჰქა ჩაის„** წმინდა შემოსავალი 1 მარტიდან 1 აპრილამდე ჰქონია 2318 მან. 26 კ.

◆ **ახალი საზოგადოება.** თბილისში არსდება ახალი საპროფესიო საზოგადოება „თბილისის მექარხნეთა და მუშათა ეკონომიური საზოგადოება“. მიზანი ამ საზოგადოებისა არის მუშათა უზრუნველყოფა ყველა თავისი ნაწარმოებით. საწევრო გადასახადი 50 მან. შესასვლელი და 10 მან. დამატებითი. დამფუძნებლებად 12 კაცია, მათ შორის 1 ქართველი მ. ე. ლაღიძე.

◆ **სამხედრო ბეგარა.** იმ ახალგაზდათ, რომელთაც 18 წელიწადი უსრულდებათ, უნდა გამოცხადდნენ ჯარში ჩასაწერად 25 აპრილს. ქართველ მთიელებს (სვანები და თუშ-ფშავ-ხევსურები) შეღავათი ეძლევათ, ე. ი. ამათ ზაფხულამდი არ გაიწვევენ.

◆ **მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები.** გუშინ კავკასიის საბრეშუმო სადგურთან მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები დაიწყო. კურსებზე ჩაწერილია 60 კაცი მათ შორის 48 მასწავლებელი კაცი და ქალი კავკასიის სამოსწავლო ოლქისა. კურსები 1 თიბათვემდე გასტანს.

◆ **ქალაქთა კავშირის** მთავარი ბუხგალტერი საკსაგანსკი გაემგზავრა კავშირის განყოფილებათა სარევიზიოდ.

◆ **სამკურნალო მცენარეთა სანერგის** მომწყობ კომიტეტის რწმუნებული შეეკითხა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, შეგვიძლიათ თუ არა 2—3 დესიატინა ადგილზე საგურამოში გააშენოთ სამკურნალო მცენარეთა სანერგეო. ბ-ნი რწმუნებული ჰპირდება მთავრობის მხრივ სათესლე მასალას, ტეხნიკურ დახმარებას და ფულს.

◆ ჩვენს ცნობილ რეჟისორს და დრამატურგს **შალვა დადიანს** დაუწერია ახალი ისტორიული ლეგენდა სამს სანახავად **„გვრამი“**. პიესის შინაარსი მეტად საინტერესოა, სიუჟეტი პიესისა აღებულია თამარ მეფის დროიდან. ავტორმა თავისი ახალი ნაწარმოები ლიტერატორთა და არტისტთა კერძო წრეში წაიკითხა და მოწონებულ იქმნა.

◆ **ერობა და წყლის შესახებ საკითხი.** 16 აპრილს შესდგა შეერთებული კრება კავკასიისა, ქართულ და სომხურ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა წევრებისა. კრების საგანს შეადგენდა გამოერკვიათ, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ერობას წყლის საქმესთან ამიერ-კავკასიაში. ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა არ იკისრა აღნიშნულმა კრებამ, რადგან ეს საკითხი ერობის კომპეტენციაში უნდა შევიდეს. მაგრამ ამიერ-კავკასიის წყალთა ინსპექციას უკვე კანონპროექტი ჰქონია შედგენილი წყლის შესახებ იმ დროს, როცა საერობო რეფორმების შესახებ საკითხი გადაწყვეტილი არ ყოფილა. ეს კანონპროექტი ამ ჟამად იმყოფება მეფის ნაცვლის კანცელარიაში განსახილველად. კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, საცა ჯერ არს, რომ ამ პროექტის განხილვა შეაჩეროს მეფის ნაცვლის კანცელარიამ, სანამ საბოლოოდ არ გადაწყდება საკითხი საერობო რეფორმების განხორციელების შესახებ.

◆ **ქალაქის ლომბარდი.** 1015 წლის განმავლობაში ქალაქის ლომბარდს დაუტრიალებია 12.857.605 მან. 6 კაპ. წმინდა მოგება დარჩენია ლომბარდს 24.268 მან. 52 კაპ. საანგარიშო წლის განმავლობაში ლომბარდს გაუყიდნია 49.730 მან. 5 კ. ნივთი. ამ თანხიდან ნივთების პატრონთათვის დაუბრუნებია 18.330 მან. 43 კაპ. და კიდევ არის დასაბრუნებელი 13.546 მან. 58 კაპ. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის ლომბარდს დარჩენია 875.840 მანეთად შეფასებული ნივთები, რომელთა თავდებობით გაცემულა 652.250 მანეთი.

◆ **გორის** სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭო აცხადებს ქართლის მეურნეთა საყურადღებოდ, რომ 23 აპრილს $12^1/_2$ საათზე თვითმართველობის დარბაზში შესდგება ამ საზოგადოების წევრთა **არაჩვეულებრივი კრება.** განსახილველია შემდეგი საგნები: 1) საბჭოს მოხსენება ერობის შემოღების შესახებ ჩვენში. 2) სამი წევრის არჩევა ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირში. 3) ახალი წევრების ამორჩევა (წესდების § 13). 4) მორიგი საკითხები,

◆ **მ. გ. ჯანაშვილს** დაუმთავრებია ახალი შრომა **„თამარ-მეფე“**, რომელიც საჯაროდ იქნება წაკითხული 1 მაისს წმ. თამარის დღესასწაულზე.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ახალქალაქის განყოფილებას** განუზრახავს დაარსოს ბიბლიოთეკა, გახსნას სკოლას სოფ. თოკში, დაარსოს მერძეობის ფერმა, შეიძინოს სასოფლო სამეურნეო იარაღები, დაიქირაოს ინსტრუქტორები ხალიჩების ქსოვისა და საკვებ ბალახის თესვა-მოყვანის გასავრცელებლად და სხ. ამის გამო განყოფილება საჭირო თანხასა და ყოველგვარ დახმარებას სთხოვს საზოგადოების მთავარ გამგეობას.

◆ **საჩივრის განხილვა.** საგუბერნიო გამგეობის საქალაქო საქმეთა საკრებულო დღეს განიხილავს ბ-ნ ტურბოვიჩის საჩივარს შესახებ იმისა, რომ მეორე საარჩევნო უბანში ხმოსანთა არჩევნების დროს წეს-რიგი დაირღვაო. საჩივართან ერთად საკრებულო განიხილავს არჩევნების მთელ წარმოებას.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** მორიგი კრება გაიმართება პარასკევს, 22 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ექიმთა საზოგადოების ბინაზე. მწერალი მელანია წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ზოგიერთი ადათ-ჩვეულებანი კახეთ-ქიზიყში“. მოხსენების შემდეგ გაიმართება საუბარი.

◆ **ქართველ მოღვაწეთა პანთეონის სასარგებლოდ** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში შემოვიდა დღემდის 205 მან. ამ საქმისათვის ფულის შეგროვებას გროზნის ქართველებიც შესდგომიან.

◆ **გაჭირვება სოფლად.** ზემო იმერეთში, ხარაგოულსა და ძირულაში, საკვების უქონლობის გამო ხალხი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის.

◆ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 18 აპრილს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 126, ხუნაგიანი 9 სახადიანი 89, სათვლიანი 82, გამოურკვეველი სენით 1 და მ[illegible] ერთი კაცი.

◆ **დიდი სახალხო სეირნობა.** წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ჩვეულებრივ სახალხო სეირნობის გამართვას ლოტარია ალეგრით აპირებს 22 მაისს „ახალი კლუბის“ საზაფხულო ბაღში. ქალთა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს სეირნობის მოწესრიგება, 23 აპრილს შეიკრიბება შრომის გასანაწილებლად.

◆ **მომრიგებელი ამხანაგობა.** ინჟ. პ. გ. მამრაძემ, ნ. ი. ლიონიზომა ინჟ. ს. ზ. თამამშევმა და ვაჰარამ. ი. ქამოევმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე კოოპერატიულ საზოგადოების, სახელად „ელექტრო-ნავთის“ დაარსების შესახებ.

◆ **კავშირ „კაპეიკას“** ყულაბებით შეუგროვებია 13 აპრილს სულ 6400 მანეთი.

◆ **ინგლისის სამკურნალო რაზმი,** რომელიც ამ ჟამად თბილისში იმყოფება მიემგზავრება ქ. ვანში, სადაც ლტოლვილთა საავადმყოფოში იმუშავებს.

◆ **სამეურნეო მანქანები.** მიწადმოქმედების დეპარტამენტმა დაუგზავნა ყველა საკრედიტო შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს საანკეტო ფურცლები, სადაც შეტანილ უნდა იქმნეს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი სასოფლო მანქანა და იარაღი გავრცელებულა სოფლად გასულ წლის განმავლობაში.

**ქუთაისი.**

შემოდგომაზედ ქუთაისში დაიწყება უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლებისა ინსპექტორთა და მასწავლებელთა მეორე ყრილობა. ამ ჟამათ სამოსწავლო დირექცია იმუშავებს ხსენებულ ყრილობაზე გასარჩევ საკითხებს.

**ფოთი**

◆ **შაქრის რეკვიზიცია.** საგუბერნიო თათბირის განკარგულებით ფოთში რეკვიზიცია მოახდინეს შაქარზე.

◆ **განყოფილების გახსნა.** ქართული საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებანი რაჭასა და ლეჩხუმშიაც იხსნება. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ თავ. შ. ი. გელოვანს მისცა რწმუნების ქაღალდი გახსნას განყოფილებანი აღნიშნულ ადგილებში.

◆ **ხოლერა სოფლად.** როგორც ცნობა მოვიდა, რაჭაში ხოლერა აღმოჩენილა.

# მცირე შენიშვნა

12 აპრილი საქართველოში ისტორიულ დღედ დარჩება: ამ დღეს ჩვენში დაარსდა ის „შტაბი“, რომლის უქონლობა და საჭიროება პირველად ბატონმა ნიკო ნიკოლაძემ აღნიშნა. ეს „შტაბი“ გახლავსთ „კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირი“, რომელიც გარს შემოიკრებს და შეაერთებს დაქსაქსულ და გაბნეულ კულტურულ ძალთა მოქმედებას ჩვენში. მართლაც, ამ „კავშირში“ შედის, ანა და შესვლის სურვილს აცხადებს, ყოველი კულტურული დაწესებულება, როგორიც გინდა მცირე იყოს მისი მნიშვნელობა და შეზღუდული მისი სამოქმედო ასპარეზი. აქ ჩვენ ვერ ვხედავთ მხოლოდ წარმომადგენელს ქართველების კულტურის ისეთ მსხვილ და მნიშვნელოვან ფაქტორისას, როგორიც **ქართული ეკლესიაა.**

ზედმეტად მიმაჩნია ლაპარაკი იმაზე, თუ რა კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ერისთვის ქართულ ეკლესიას. მართალია, დროშა, რომლითაც ის წინ მიუძღოდა ძველად ქართველ ერს, დღეს სხვა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათ უჭირავთ ხელში, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეკლესიამ სულ ერთიან დაჰკარგა მნიშვნელობა ჩვენში. ნუ დავივიწყებთ, რომ ერთად ერთ კულტურულ ძალას ჩვენს მიყრუებულს პროვინციებში დღესაც სამღვდელოება წარმოადგენს, რომელიც შკოლის საქმეში, კოოპერატივებში და სასოფლო ბანკის ოპერაციებში თვალსაჩინო სამსახურს უწევს დაბეჩავებულ ხალხს. რა აზრისაც უნდა ვიყოთ ჩვენ მის მოქმედების შესახებ, ასე თუ ისე ანგარიში უნდა გაუწიოთ მას: თუ ვამჩნევთ, რომ ეს მოქმედება საჭიროა საზოგადო მიზნისთვის და სასარგებლო, უნდა მხარი დავუჭიროთ, ხოლო თუ ვხედავთ, რომ სამღვდელოება იმას ვერ აკეთებს, რის გაკეთებაც შეუძლიან და საჭირო არის, უნდა ხელმძღვანელობა გაუწიოთ და პროგრამა დაუწეროთ მას.

ესეც რომ არ იყოს, საეკლესიო საკითხი თავის-თავად, პრინციპიულად, განა ერთი საჭირბოროტო კულტურულ საკითხთაგანი არაა დღეს ჩვენში? საქართველოს ეკლესიის კანონიური უფლებათა აღდგენის და მისი გამოცოცხლების საკითხი დღეს მარტოოდენ მღვდლების საკითხად ველარ ჩაითვლება, ის გარდაიქცა **ქართულ ეროვნულ** საკითხად. წარმოიდგინეთ, ამ ეროვნულ საკითხის გასაშუქებლად ორიოდე დაინტერესებულმა პირმა ან კერძო ადამიანის ბინაზე უნდა გამოსთქვან ჩუმად თავისი აზრი, ან და თავად-აზნაურთა წინამძღოლს მიჰმართონ. ბ. ექ. თაყაიშვილმა „კავშირის“ გახსნის დღეს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა ისეთი შემთხვევა, როდესაც თავად-აზნაურთა წინამძღოლს თვით მთავრობის წარმომადგენელმა მიჰმართა, ერთი საკითხის შესახებ ქართულ საზოგადოების აზრის გასაგებად; ეს საკითხი სწორედ საეკლესიო საკითხი იყო. აი დღესაც უშიშვლნიათ ხმალი, რათა ჩვენი ეკლესიის სხეულიდან სოხუმის ოლქი ჩამოსჭრან. არავინ ამის შესახებ კრინტს არა სძრავს, გარდა გაზეთ „საქართველოსისა“, რომლის იერემიადა რჩება „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“. რა თქო? იმიტომ რომ ჩვენ არა გვაქვს ისეთი ორგანო, რომელიც ქართველ ერის საერთო აზრის და მისწრაფების გამომხატველი იყოს ასეთ შემთხვევებში. ამნაირ ორგანოდ დღეიდან უეჭველად „კავშირი“ უნდა გახდეს ჩვენში. ქართულ საეკლესიო საკითხების შესახებ გადაჭრილ აზრის გამოტანა დღეს ჩვენში ვერ უნდა იკისროს ვერც სასულიერო, ვერც საერო წოდებამ, გინა რომელიმე კერძო პარტიამ; აქ საჭიროა საერთო მიზანშეწონილი მოქმედება და მოსაზრება. აი ამიტომ ვამბობ, რომ ახალ „კავშირში“, რომელმაც უნდა გამოხატოს ქართველ ერის საერთო აზრი, საჭიროება და მისწრაფება, უნდა გვესმოდეს მკაფიოდ **ქართულ ეკლესიის** ხმაც, არა როგორც ვიწრო პროფესიონალურ საზოგადოებისა გინა თუ კერძო წოდებისა, არამედ როგორც ერთგვარ კულტურულ ორგანიზაციისა, რომლის მისწრაფებანი და ინტერესები დღეს ეროვნულ ხასიათს იღებენ.

დარწმუნებული ვარ—მეტყვიან, რომ ეს იურიდიულად შეუძლებელია, ვინაიდგან „კავშირში წევრად შესვლა შეუძლიანთ მხოლოდ **ლეგალს** საზოგადოებებს“ (§ 5), ხოლო ქართული ეკლესია ლეგალურად დიდი ხანია აღარ არსებობს. მართალია, დღეს ქართული ეკლესია აღარ არსებობს როგორც ლეგალი დაწესებულება, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ საქართველოში ლეგალურად არსებობს ოთხი ქართული ეპარქია (ქართლ-კახეთის, იმერეთის, გურია-სამეგრელოსი და სოხუმის), რომელთაც შეუძლიანთ თავთავიანთი წარმომადგენელნი იყოლიონ „კავშირში“; ამისი წინააღმდეგი საეპარქიო მთავრობაც არ უნდა იქნეს, ვინაიდგან კულტურულ კავშირში მონაწილეობა სწორედ მოვალეობაა ეკლესიის წარმომადგენელისათვის. ხოლო თუ, ვინიცობაა, საეპარქიო მთავრობამ ეს შეუძლებლად სცნო, მაშინ ჩვენ შეგვიძლიან „საქართველოს საეგზარხოსოს საეკლესიო მუზეუმს“ მივმართოთ, როგორც ლეგალ კულტურულ ორგანიზაციას, და მისი წარმომადგენლები „კავშირში“ ქართულ ეკლესიის ფაქტიურ წარმომადგენლებადაც დავისახოთ. სასურველია სხვებმაც გამოსთქვან პრინციპიული მოსაზრება—საჭიროა თუ არა ქართულ ეკლესიის წარმომადგენლობა ახლად დაარსებულ „კავშირში“; რაც შეეხება ამ წარმომადგენლობის პრაქტიკულად განხორციელებას, ამას სხვაფრივაც შემოევლება როგორმე.

დეკ. კორ. კეკელიძე

# „დავიწყებული მოვალეობა“

პატივცემული შალვა დადიანის გულწრფელ წერილს („საქართველო“ № 85) არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არ დავუმატო.

ცხოვრებაში ხშირად ისეთ ახირებულ მოვლენას შეხვდებით, რომლის ახსნა პირდაპირ შეუძლებელ საგნადა ხდება.

რად მოხდა ასე?

საიდან წარმოიშვა და განმტკიცდა ეს მოვლენა?

რად მოიპოვა ადგილი ამ მოვლენამ ცხოვრებაში?

იკვლევ საგანს, ეძებ მიზეზს, თავს იმტვრევ მის ახსნაზე და ვერავითარ დასკვნამდე ვერ მისულხარ.

რად მოხდა, მაგალითად, რომ ყველა ჩვენს საზოგადო მოღვაწეს, დიდსა და პატარას, ვისაც კი ჩვენს საზოგადო ასპარეზზე უმოღვაწნია, საზოგადოებამ პატივი სცა, დაფნის გვირგვინით შეამკო, მატერიალურად და მორალურად გაამხნევა, გაამაგრა, ვალერიან გუნია კი მიივიწყა და არაფრით არ აღნიშნა მისი 30—35 წლის უანგარო მუშაობა.

ამ ბოლო ხანებში ვისაც კი უნახავს ვალ. გუნია, უსათუოდ განიცდიდა იმ მწვავე გრძნობას, რასაც მე განვიცდი.

ის მოგაგონებთ დაავადმყოფებულს. ლოგინად ჩავარდნილ ვაჟ-კაცს.

თვალებში ჩაჰქრობია ის ცეცხლი, რომელიც მძლავრად ამოძრავებდა მის ხრსებას. გადაფითრებულ შუბლზე ჭმუნვის ალი აღბეჭდვია. სხეული მოშვებია, მოდუნებია. აშკარად ეტყობა დაუძლურება, დასნეულება. ის ავადაა ფიზიკურად.

მაგრამ მორალურად უფროა დაავადმყოფებული.

ძნელია, როდესაც შენს ძალას, შენს დროს შესწირავ საზოგადო საქმეს და ამით ვნებას მოუტან შენს ოჯახს, შენს შვილებს და როდესაც დაგიდგება ხანა უძლურებისა, ხანა გაჭირვებისა, პირველისაგან უმადურობას მიიღებ, ხოლო მეორისაგან საყვედურს.

ძნელად წარმოსადგენია სულისკვეთება ამ გვარი ადამიანისა. ყველა ვერ აიტანს იმ წამებას, როდესაც დღე და ღამ თვალწინ გიდგას შენი ოჯახის წევრთა ნაღვლიანი, საყვედურით სავსე თვალები.

შენი უნარი, ენერგია—ჰკითხულობ ამ თვალებში—პირადი ცხოვრებისათვის რომ მოგეხმარებინა, ახლა ხომ შენცა და ჩვენც მატერიალურად უზრუნველი ვიქნებოდით. ამ გაჭირვების ნაცვლად, რა მოგცა, რით დაგაჯილდოვა შენმა საზოგადოებამ!

მართლაც რითი დააჯილდოვა ვალ. გუნია ჩვენმა საზოგადოებამ?

ძლიერ ნების პატრონი გუნია—არტისტი (ქართველი არტისტი!) გუნია—დრამატურგი, გუნია—დრამატიულ საზოგადოების გამგეობათა დირიჟორი გუნია—პოლიტიკური მოღვაწე, გუნია—წიგნების გამომცემელი, გუნია—სხვა და სხვა დროს ჟურნალის, ან გაზეთის რედაქტორი, გუნია—აგიტატორი, გუნია—მომწყობი და გამგე დიდებულთა დასაფლავებისა, იუბილეებისა, ბანკეტებისა. აი რაზე იხარჯებოდა მისი დრო და ენერგია უსასყიდლოდ, უანგაროდ და ყველა ამ დარგში შეჰქონდა სიცოცხლე, სიყვარული და საქმიანობა.

რა კვალი დააჩნია ვალ. გუნიას მოღვაწეობამ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აქ არ აღვნიშნავ. თავის დროზე იგი აღნიშნული იქმნება, ვიტყვი მხოლოდ, რომ მას უყვარდა და უყვარს თავისი სამშობლო, მისი საზოგადო საქმენი და საზოგადოებრივ აზრის შექმნაში შესამჩნევ მონაწილეობას იღებდა და იღებს.

მაგრამ ხალხური ანდაზა ამბობს: ადამიანს ყველაფერში იღბალი უნდა ჰქონდესო.

გუნიას იღბალი არა აქვს. იღბლიანები გამოდგნენ ყველა ზემო ჩამოთვლილ დარგში გუნიასთან ერთად მომუშავე ამხანაგები.

ამ არა ნორმალურ მოვლენაში ალბად დიდს როლს თამაშობს ვალ. გუნიას ზედმეტი თავმოყვარეობა და სიამაყე.

მით უფრო გვმართებს ჩვენ ამ დაუღალავი მუშაკის პატივისცემა.

მადლიერნო! სანამ გვიან არაა, პატივი ვსცეთ ამ ადამიანს და თუ მატერიალურად არა, სიტყვით მაინც გავუქარვოთ ორ გვარად დაავადმყოფებული გული.

სვ. ყიფიანი.

# ტრაპიზონი

ძველის ძველად, ლაზისტან-ჭანეთი იწოდებოდა ეგრისათაც. ქრისტეს წინედ, ფარნავაზ ქართველთ მეფემ ლაზისტანი განთავისუფლა ბიზანტიელთ ფლობისაგან. მაშინ ფარნავაზ მეფემ მთელი ლაზისტანი გაყო ორს საერისთავოდ და მასთან იგი დააკავშირა ეგრისთან. ამ სახით, მაშინ მთელი ლაზისტანი გადაბმული იყო სამეგრელოსთან და შავ-ზღვის ნაპირს ტრაპიზონიდან დაწყებული აფხაზეთამდის სულ მეგრელი ლაზები სცხოვრობდენ, ეს ხაირი წარმოადგენდა ერთი ტომის სხეულს და ერთი მეგრულ-ლაზურის ერთეულ შტოს.

ქრისტეს დაბადების მეორე საუკუნეს, ლაზისტანი ისევ ბიზანტიამ დაიპყრო. მათ ხელქვეშ დარჩენ კარგა ხანს, V საუკ. ვახტანგ გორგასლანმა კვალად დაიპყრო ლაზისტანი და იგი დაკავშირებულ იქმნა საქართველოს სამეფოსთან. მეფემ ლაზისტანს თავის მართველად ლაზთაგან ერისთავი დაადგინა. ვახტანგის ძლიერება ბიზანტიელთ შეიშურეს, ამიტომ ბერძენთ იმპერატორმა ერეკლემ იმეცადინა და ლაზისტანი ისევ ჩამოგლიჯა საქართველოს, ქართველთა მსგავსად, იმპერატორმა ერეკლემ ლაზისტანში დასვა მართველად ლაზელი მოწინავე კაცი.

რამდენიმე ხნის შემდეგ იმპერატორს ლაზები აიშალნენ: ამათ აუწყეს: ჩვენ ჩვენი ქართული ცხოვრების წესები უნდა გვაქვნდესო. მართველად გინდ ბიზანტიელი იყოს ჩვენშიო. იმპერატორი თანახმა გახდა ამის, ლაზებს დაუბრუნა ქართული ცხოვრების წესები, ვახტანგ მეფის მიერ დადგენილი კანონები და მართველად კი დაადგინა ბიზანტიელი. ასე და ამგვარად, დამშვილებული ლაზისტანი ბიზანტიელთა ხელში დარჩა კარგა ხანს. ბაგრატოვანთა გამეფების და გაძლავრების დღემდე კი ლაზისტანი ისევ დაკავშირებულ იქმნა საქართველოსთან, ბაგრატოვანებმა ლაზები, მეგრელები, აფხაზები და სვანები ერთ აკვნის შვილებად ჩათვალეს და ერთ საერისთავოდაც დანიშნეს.

**ლაზელ-მეგრელების შესახებ ზეპირი ამბები**

ლივინაში, მურღულის ხეობაში და სხვაგანაც, ქართველ მაჰმადიანებთ შორის, ლაზების შესახებ დაშთენილია ზღვრნაირი გარდმოცემანი. ასეთ გარდმოცემის ერთი ვარიანტი დიმ. ბაქრაძესაც მოჰყავს თავის მოგზაურობაში, რომელიც რუსულად ცალკე ტო-

მად დაბეჭდა პეტერბურგს 1875 წ. სახელდობრ „არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარაში, პეტერბურგი 1876 წ.“ აქ მეც მოვიყვან ზოგ-ზოგ ცნობებს, რაც ნაამბობია თვით ლაზელ მოხუცებულ ხოჯიებისაგან 1895 წელს. ეს ამბები ძველის ძველთაგანვე არის მათში დარჩენილი ზეპირ.

ლაზები, ჭანები და მეგრელები ერთნი ვყოფილვართ, აფხაზეთის შემდეგ მთელი შავი ზღვის ნაპირები სულ ლაზებით და მეგრელებით ყოფილა დასახლებული, აქეთ ამ ხალხს გარდა სხვა ტომის ხალხს არა ჰქონია ადგილი და ცხოვრება, მარტოდ ლაზები და მეგრელები ყოფილან. მაშინ თურმე მთელი ამ ხალხის ქვეყანა გაიყოფებოდა სამ ნაწილად, ერთ ნაწილს ეწოდებოდა ლაზისტანი, მეორეს ჭანეთი და მესამეს სამეგრელო.

სამივ ამ სახელწოდების ხალხის ენა ყოფილა ერთი, ლაზური—ანუ მეგრული, რომელთ ენაც მაშინ მოფენილი იყო მთელ შავი ზღვის ნაპირებზედ, ეს ენა ლაზებს გარდა მაშინ თურმე ქართველებსაც კარგად ესმოდათ თურმე. ყოველი ლაზი თავისუფლად ელაპარაკებოდა იმერელს, ქართველს და და სხვებსაც, რადგანაც ამათაც ესმოდათ თურმე მაშინ ჩვენი ენა, ამისთვის ძველი კაცები და ხოჯიები იტყოდნენ შემდეგს:

ჩვენი ხალხი ქართველებთან ისე ხშირად გადადიოდნენ, ისეთი ხშირი მისვლა მოსვლა აქვნდათ და კავშირი, რაისა გამო ლაზური ენა ქართველებსაც კარგად ესმოდით. ლაზებმაც იცოდნენ ქართული და ძველათ თურმე ამ ორივ ხალხში თურმე თითქმის ყველა სიტყვები ერთნაირად იხმარებოდა, მიტომ ესმოდათ ყველაფერი ერთმანეთის. მერე კი, როცა დავშლილვართ, როცა გავცალკევებულვართ, მაშინ სიტყვებიც გაყოფილა, გადასხვაფერებულან და ამიტომ ერთმანეთი მიგვიწყებია და სიტყვების გაგებაც ვეღარ შევძლებია, ერთმანეთი დაგვიწყებია, ამ გარემოებას სიტყვების დავიწყებაც მოჰყოლია თან.

### მეორე ზეპირი ამბავი

(მარადიდის უფროსის უჩასტკის ნაჩალნიკის, ახმედ ეფენდი ხალვაშისაგან ნაამბობი)

ახმედ ეფენდი გონიერი კაცი იყო, შეგნებული ქართველი და ზეპირ-საქართველოს ამბებიც ერთობ ბევრი იცოდა. საქართველოს გარემოების გამო მას გული დარდით აქვნდა სავსე. ყოველთვის მწუხარებით ლაპარაკობდა. ერთხელ კავკავის მთების, ანუ მყინვარის ამბავი მკითხა, მეც ვუამბე ყოველივე სამხედრო გზის ამბები. იგი შეწუხდა, მერე სთქვა:—აბა ჩვენი უბედურება ეს არის, იქით ასეთი მთის სიმაგრენი, აქეთ კიდევ ასეთი სიმაგრენი და განა ეს ქვეყანა უნდა დაცემულიყო და გაყოფილიყოს, მაგრამ რას ვიქმთ, ყველა ეს სულ ჩვენი ოჯახის არევამ ქმნა. სამწუხაროდ ამ პირის ბიოგრაფია დღემდე ვერ დავსწერე და ვერ დავბეჭდე. ეს კაცი დიდი მოტრფიალე იყო საქართველოს აღორძინების და ქართველ მაჰმადიანთა გათვითცნობიერების. მარადიდში მაშინ ამან ქართული სკოლაც გახსნა, მაგრამ სკოლა მალე დაიკეტა, რადგანაც მასწავლებელი რუსი იყო და ქართული ენა არ იცოდა, რაც მიზეზი გახდა სკოლის დაკეტვის, ამას ზედ ისიც დაერთო, რომ მასწავლებელი ლოთიც იყო, არაყი ბოჭკით ედგა სკოლაში: ამის ამბავს მერე მოგახსენებთ. ეხლა ისევ ახმედ ხალვაშის ზეპირ-ამბავს მოვიყვანთ ლაზისტანის შესახებ. სამწუხაროდ, ერთ დროს, ლაზებს და მეგრელებს რაღაც მიზეზებით ქართული ენა დაევიწყებინათ, ამის მიზეზი მგონი ის ყოფილა, რომ ლაზელ ხელოსნებს ქართლსა და იმერეთში მგზავრობა მოუსპიათ, სამუშაოდ იქითკენ აღარ მიდიოდნენ თურმე და თვით ჩვენშიც კი აღარ გადმოდიოდნენ, მაგალითად აჭარასა და ლივანაში, ამიტომაც დროის განმავლობის წყალობით ერთმანეთის ენაც მიგვიწყებია. ისე, რომ მერე თურმე ერთმანეთის სულ აღარა გვესმოდა რა.

ამ გარუსებისათვის ქართველ მეფეებს ყურადღება მიუქცევიათ, იმ ადგილებიდან სადაც დღეს გურია გახლავთ და მის კიდეებზედ ზღვის ნაპირები და ამ ადგილების სოფლები, ყველა იქიდან ლაზები და მეგრელები აუყრიათ, იგინი იმერეთში გადუსახლებიათ და მათ მაგიერ, მათ ალაგას დაუსახლებიათ ქართულად მოლაპარაკე იმერლები და ამით სურვებიათ, რომ სამეგრელო ლაზისტანში, ქართული ენა ისევ განახლებულიყოს და მოფენილიყოს, რომ ამ ენის გაგება ლაზებს, მეგრელებს და ქართველებს ისევე შესძლებოდა, ეს როგორც მათში ძველის ძველად მაგრამ სამწუხაროდ ესეთი ენის შეერთება ვეღარ მომხდარა და ლაზები და ჭანები მეგრელებს მთლად მოსწყვეტიან. მერე რა მომხდარა კიდევ, დაახლოვების და მეგობრობის მაგიერ ერთმანერთს მტრათაც გადაჰკიდებიან და მით თვისი მტრები კი გაუხარებიათ. ასე მოხდება იქ სადაც ოჯახის შვილები აირევიან და ოჯახური საქმეც წახდება. თორემ ეს რომ არ მომხდარიყო მაშინ საქართველოს ვერავინ რას დააკლებდა, ვერც ოსმალნი აიკლებდნენ, ვერც სპარსნი და არც სხვებს ჩაუვარდებოდა ეს ქვეყანა და ხალხი. ასე იტყოდნენ ჩვენში ძველი კაცები ამის შესახებო.

ძველად ყველამ იცოდა ზეპირ, რომ ლაზი, ჭანი, მეგრელი და ქართველი ერთი ძმები არიან, ერთი დედმამის შვილნი და ერთი ენის ხალხიაო დღეს ეს ასე აღარ გახლავსთო.

(შემდეგი იქნება)

ზ. ჭ.

## გურიის აქ-იქარები

(წერილი ოზურგეთიდან)

ვინც ამ უკანასკნელ წლებში თვალყურს ადევნებს ჩვენ სოფელს, ნათლად დაინახავს მის წინმსვლელობას, ლტოლვას გათვითცნობიერებისაკენ, მისწრაფებას უკეთესი მომავლისადმი. სოფლად ისეთი გავლენა აღარა აქვთ დღეს „მკითხავ-ექიმბაშ-აბლაკატებს“, როგორიც 10—15 წლის წინეთ, დღეს ისე აღარ გაურბის სწავლა-განათლებას ჩვენებური გლეხი, როგორც უწინ. მან შეიგნო, შეითვისა ის ჭეშმარიტება, რომ, რაც მეტ სწავლას შეიძენს, იმდენად ძლიერად გაუმკლავდება ცხოვრებაში გაბატონებულ დაბრკოლებათ, ადვილად გაიკაფავს ნარეკლით მოფენილ გზას, აიცდენს თავიდან ყოველგვარ გასაჭირს, იმდენად ნაკლები სახრავი გახდება სოფლის მწერალ-მამასახლისთა და წვრილფეხა ბიუროკრატთა.

მან შეიგნო, რომ თავისი თავის მეტი სხვა მხსნელი არა ჰყავს, მხოლოდ თავისი თავის იმედი უნდა ჰქონდეს და სხვათა აპეკუნობა და მზრუნველობა ხეირს არ დააყრის მას.

სწავლა-განათლების გარდა ამ ბოლო დროს ფეხს იკიდებს სოფლად გაუმჯობესებული მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა სხვა და სხვა სახით; ვაჭრობა აღარ ითვლება სამარცხვინო ხელობათ და სომხისა და ებრაელის კუთვნილებად, არამედ ყველასათვის ერთ საუკეთესო იარაღად საარსებო პირობათა გაუმჯობესებისათვის.

ერთ ამის მაგალითს გვაძლევს სოფ. ბახვი, რომელიც 8 ვერსის დაშორებით მდებარეობს ოზურგეთიდან და, რომელიც ზოგიერთ ჩვენ დაბა-ქალაქსაც ბევრად გაუსწრებს.

დიდი წვალებისა და მეცადინეობის შემდეგ წარსულ შემოდგომაზე, როგორც იქნა მოიპოვეს უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის გახსნის უფლება და თავისივე ხარჯით ინახავენ, გახსნისავე მოაწყვეს პირველი და მეორე კლასი, რითაც საშვალება მიეცათ თვითონვე ადევნონ თვალყური მოზარდ თაობას და მეორე მხრით, ბავშვთა შესანახი ხარჯიც აიცილეს თავიდან სხვა ქალაქში. მომავალ ენკენისთვეში მესამე კლასის გახსნასაც აპირებენ. სულ რაღაც 2—3 წლის შემდეგ საშუალო სასწავლებლის კარი ღია იქნება ამ სასწავლებლის მოწაფეთათვის.

რადგან სასწავლებლის შენახვას პირველ ხანებში დიდი ფული სჭირდება, ამიტომ სოფელმა გადასწყვიტა, მიემართა თავის თანამემამულე გულშემატკივართათვის, შემოწირულებათა შესაკრებად. სხვა და სხვა ქალაქებში გაბნეულმა ბახველებმა არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და უხვი შეწირულებით წაახალისეს შინ დარჩენილნი და, ჩვენ დარწმუნებული ვართ, არც მომავალში მოაკლებენ თავიანთ ყურადღებას.

ხსენებულ სკოლასთანვე არსებობს ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ქალთა წრე, რაც ზოგიერთ ქალაქებშიც არ მოიძებნება და ზოგიერთი ჩვენებური მანდილოსნები კარტ-ნარდის თამაშსა და უბრალო ჭორების გავრცელებას ამჯობინებენ სასარგებლო და საზოგადო საქმეზე მუშაობას.

ამ წრის თაოსნობით ბზობა დღეს გაიმართა ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ პირველი წარმოდგენა (ითამაშეს ტრ. რამიშვილის „მეზობლები“), რომლის შემოსავალმაც მოლოდინს გადააჭარბა და გადაწყვეტილი აქვთ ყოველ ორ კვირაში მართონ თითო წარმოდგენა, ასე რომ, ერთი ჯოხის მოქნევით ორ კურდღელს იჭერენ: ხალხს აწვდიან კულტურულ გასართობს და სულიერ საზრდოს, შემოსავლით კი გაჭირვებულ მდგომარეობას უმსუბუქებენ ღარიბ მოწაფეთ.

აქვე არსებობს უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რომელსაც ყველა ადგილობრივი რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთობა მოსდის. მასვე ჰყავს ცალკე კომისია, რომელიც წევრთა გამრავლებაზე და ბიბლიოთეკის ქონებრივ უზრუნველყოფაზე ზრუნავს.

არის კიდევ კოოპერატიული დუქანი და ეტლის პატრონთა ამხანაგობა, რომლის საკუთარ დილიჟანსაც მგზავრები გადაჰყავს ოზურგეთ-ბახვს შუა და რომელთა საქმეებიც ჯერჯერობით კარგად მიდის და წარმატების გზაზე დგას.

მეურნეობიდან მისდევენ ჩხავერის და უმთავრესად იმერული ჯიშის ვენახის გაშენებას: ციცკა, ცოლიკოური და სხვა,

ამ გაზაფხულზე პირველად სცადეს მანდარინის მოშენება და სრული დარწმუნებული ვართ, ტყუილად არ ჩაუვლით ცდა და შესაფერ ნაყოფს მისცემს.

აპირობენ ფოსტის განყოფილების გახსნასაც.

ვუსურვოთ ჩვენც წარმატება და წინ მსვლელობა პროგრესის გზაზე.

გ. ჯავახი.

## სოფლად

**ტყვიავი.** თვით მშვენიერმა გაზაფხულმა ვერ გაუხსნა შუბლი ჩვენ გლეხს, მაგრამ თვალთა ხედვა იმედიანი აქვს. ცხოვრებას კვალად პირდაპირ თვალში უცქერის და თუ ჰგრძნობს დღევანდელ კარზე მომდგარ უბედურებას და განიცდის მას მთელი სიმწარით, სამაგიეროთ უკეთესი მერმისი სწამს. ხშირათ გაიგონებთ მათ მიერ წარმოთქმულ მრავალ მეტყველ სიტყვებს: „არა უშავს-რა, ბევრი უნახავს ჩვენ ხალხს უბედურება, მაგრამ წარბი არ შეუხრია, აგერ პატარები მალე წამოიზრდებიან და ძმების ადგილს დაიჭერენო“.—თან მიუთითებენ მოთამაშე გოგო-ბიჭებზე, სიცოცხლითა და ჯანღონით სავსენზე...

სოფლად ვიყავ და გული მიკვდებოდა როდესაც ვხედავდი, იმ ოჯახში სადაც ოთხი და ხუთი ვაჟკაცი გამოდიოდა ერთს თუღა ვხედავდი, ობლად დატოვებულს, რომლის კისერზედაც იყო ბრძოლაში წასულ ძმების ცოლ-შვილი. მაგრამ გული სიხარულით მევსებოდა, როდესაც ვუკვირდებოდი და ვხედავდი მის გულგაუტეხლობას, საიმედო მერმისის იმედიან მომავალს.

იცოცხლებს მრავალჟამიერის გენია, ვინაც ამ გვარი შეუმჩნეველ გმირობით და გულზვიადად იტანს ამ საერთო უბედურებას და მით უმეტეს ჩვენთვის უფრო გაორკეცებულს, იცოცხლებს ის ერი ვის თანსდევს გულში ჩამარხული ჩუმი, მაგრამ მტკიცე იმედი და საიაც იმედი არ არის იქ ხომ სიცოცხლის მაჯის ცემაც მალევე სწყდება! სოფლად ყოფნამ, იქაურმა სიცოცხლის მაჯის ცემამ, გამიასკეცა იმედი რომ მომავალი ქართველ ერისაა.

აღდგომა ღამეს ზარის წკნარმა, სევდა შერთულ გუგუნმა გამომაღვიძა და საყდრისკენ გამიწვია. თითქოს თვით ბუნებას ეგრძნო ამ ღამის სიდიადე, ისე წყნარი და დიადი იყო. საყდრის გალავანში არც კი შევსულიყავ, რომ შემომესმა მრავალ ბავშვთა მწყობრი ხმა შეწყობილ „ქრისტე აღსდგას“ გალობა. გამიკვირდა; აქ, სოფლად ისმოდა ბავშვთა გალობა სპეტაკ გულიდგან ამოხდენილი, რომელიც შორს, შორს იფინებოდა, ამ მიყუდრებულ არე მარეში. ხალხი ქუდმოხდილი, სანთლებით ხელში, სახე გაბრწყინვებული ისმენდა გალობას. დაჰვიწყებოდა დღიური ჭირვარამი და წუთიერი აღფრთოვანება დასტყობოდა მრავალ ჭირნახულ მის სახელს. საყდრის ჩარდახში იდგნენ სოფლის სკოლის ბავშვები, სახე ულიმოდათ პაწაწინებს, მაგრამ სულით მაღლებს და ბუმბერაზებს, სიხარულით შესცქეროდნენ საყვარელ თავის მასწავლებელს ქ. ქეთო ტატიშვილის ასულს, რომელიც მათ ჰხელმძღვანელობდა.

მღვდლის „ქრისტე აღსდგას“ წარმოთქმას ხალხმა გუგუნით „ჭეშმარიტად“ უპასუხა, სად გამოჰხატა მთელი თავისი სულის კვეთება და გულის წადილი. და ლოცვაც გათავდა. გალავანში გამოველ, ერთმანეთს ულოცავდა ყველა. მოწაფენი იქვე შორიახლო შეჯგუფდნენ, მასწავლებელს გარს შემოერტყნენ და ერთხმად, მწყობრად წარმოსთქვეს კ. მაყაშვილის ლექსი, უფრორე ჰიმნი, „ტანჯულ-ჩაგრულო“ მალე გაისმა მრავალთა წკრიალა ხმა და იმღერებს: „ჩანგურს სიმები გაუბათ“ „იზარდე მწვანე ჯეჯილო“, „მაშინ პირველად“—ღრმა სევდით სავსე „მოჰკლეს ილია“ და სხვა მრავალი. ხალხი გატრუნილი, სიხარულისაგან აღმოფრენილი ყურს მიუპყრობდა, აქ იქ ისმოდა ხმები: „ეი სწავლა ეგრე კარგია“, „ღვთისნიერი ქალია ეგ უჩიტელი“. ხალხმა, ჩვენმა გლეხმა შეიგნო სწავლის საჭიროება; აუცილებლობა... მივედი მოწაფეებთან, მივესალმე, ყველას სახე ულიმოდა; აღფრთოვანება და ბედნიერება დასტყობა თვით მასწავლებელს ისევე პატარა შეგირდებს. ჩემის თხოვნით ლექსები წარმოსთქვეს. რა კარგი იყო პატარა ლადო, პატარა ქართველი, როდესაც გრძნობით და სულით და გულით წარმოსთქვა დუტუმეგრელის „მე პატარა ქართველი ვარ“, მისი ხელის გაშვერა კავკასიონის ქედისაკენ, გაბრწყინვებულ თვალებით. ან პატარა იოსები... რა დალაგებით ჰხსნიდნენ ყველა ლექსის შინაარსს და რა ლამაზად და დინჯათ მიამბეს ვინ იყო ერეკლე მეფე, რისთვის იღწოდა და იქვე იმ ხალხურ ლექსით შემკეს რომელს ხშირად იმღერიან კალოზე და გუთანზე. როდის ან რათ შეუერთდა რუსეთს პატარა საქართველო. ვინ იყო და როდის ჰცხოვრობდა თამარი და იმ დროინდელი გამოჩენილ პირთა მოკლე ამბავი. ყურს ვუგდებდი მათ და გული იმედით შევსებოდა. ვგრძნობდი „ქრისტეს აღდგომას“ და ერისას. ვაშა იმ მასწავლებელს ვინც ასე გულს მოიგებს პატარებისას და მათ ნორჩ გულში ჰპოვებს ბინას. ვინც მხოლოდ, ამ პატარა ქართველ ერის მომავალ ბურჯთათვის შრომობს ასე თავგადადებით, მათ ნორჩ სულს სდარაჯობს.

თენდებოდა როდესაც პატარები გამოეთხოვნენ მასწავლებელს და წავიდ-წამოვიდნენ, იმ იმედით, რომ მომავალ დღეს ერთად გაატარებდნენ.

მეც სახლისკენ წამოვედი იმედით სავსე, ხალხი მოწიწებით იხსენიებდა თავიანთ შვილების, „მეორე დედაზე ტკბილ ადამიანს“. გაილვიძა, გაილვიძა მიძინებულმა სოფელმა, იშმუშნება, ვეღარა გადაელობება რა წინ. მისი მერმისის ვარსკვლავი ჭიატობს ცაზე. შავბნელ ღამის შემდეგ, ნათელი კაშკაშა, ცხრა თვალა მზით დამშვენებული დღე უდგება.

გულხარბი გამოვდექ და ვინატრე „ნეტავ ყველგან ისეთი მასწავლებელი იყვეს ვით არის ქ. ტატიშვილის ასული მეთქი.

წიქელი.

## წერილი ალაგირიდან

(თერგის ოლქი)

კავკავიდან 35 ვერსის მანძილზე კავკასიონის ქედის ძირში, ჩრდილოეთის მხრივ მდებარეობს სოფ. ალაგირი.

ხშირი ტყით დაბურული ბუმბერაზი კავკასიონი ამაყად დაჰყურებს ალაგირს. თითონ სოფელი-კი ვაკეზეა გაშენებული. აღმოსავლეთის მხრივ ალაგირს ჩამოუდის მთის ცელქი მდინარე არდონი, რომელიც გაზაფხულობით მოდიდდება ხოლმე, ანგრევს ხიდებს და ზოგჯერ მის ნაპირას მდებარე სოფლებს დიდს ზიანს აყენებს.

ალაგირი კარგად მოზრდილი სოფელია. აქ ცხოვრობს 150 კომლამდე რუსი, 200 კომლამდე ქართველი და 400 კომლამდე ოსი. მართალია, ქართველობა რიცხვით სჭარბობს რუსობას, მაგრამ სოფლის ბატონ-პატრონად რუსობა ითვლება. მათთვის მთავრობას ძველადვე მიუზომია ალაგირის გარშემო მდებარე თვალ-უწვდენელი ნაყოფიერი მინდვრები, აქეთ საკუთარი სასოფლო მმართველობა და ჰყავთ საკუთარი მამასახლისი. ქართველობა და ოსობა-კი უმამულონი არიან, არ გააჩნიათ სასოფლო მმართველობა და მხოლოდ დროებით მცხოვრებლებად ითვლებიან, თუმცა მათი უმრავლესობა წარსულ საუკუნის ოთხმოციან წლებშივე მკვიდრად დაბინავებულა აქ და არსად წასვლას არ აპირებს.

აქაური ქართველობა რაჭიდან არის გადმოხვეწილი. მათი უმრავლესობა 35 წლის წინად აყრილა სამშობლოდან, გადმოსულა ალაგირში, შეუძენია სახლ-კარი და მკვიდრად დასახლებულა აქ. უმამულო რაჭველთა აქეთ გადმოსახლება დღესაც გრძელდება და რაც ხანი გადის, ქართველთ რიცხვი ალაგირში უფრო და უფრო მატულობს. თუმცა ჯერხნობით ქართველობას სახნავ-სათესი მიწების შეძენა ვერ მოუხერხებია, მაგრამ თავის გამჭრიახობის და შრომის მოყვარეობით ადგილობრივ მკვიდრებზე—მიწის პატრონებზე უკეთ მოწყობილან: გაუკეთებიათ ქვითკირის სახლები, ზოგს ორ სართულიანი, გაუშენებიათ ხეხილის ბაღები, გაუჩენიათ საქონელი. ქართველთაგან ზოგი ხელოსანია, ზოგს ვაჭრობა გაუჩაღებია, უმრავლესობა-კი მხვნელ-მთესველია: იჯარით აღებულ ადგილებს ამუშავებენ.

ქართული ენა ალაგირის ქართველობაში ჯერჯერობით კარგად არის შენახული. მხოლოდ სამშობლო ქვეყნის გარეშე ცხოვრებას, ოსთა და რუსთა შორის ტრიალს თავისი დაღი დაუჩენია: ყველამ იცის რუსული ენა. მოხუცებსაც კი, რომელთაც ცოცხლად ახსოვთ რაჭა და იქ თავისი ცხოვრება და რომელთაც რაჭაში ჰყოფ ნათესავებთან მისვლა-მოსვლა ჯერაც არ შეუწყვეტიათ,—ამ მოხუცებსაც კი კარგად ესმით რუსული და ქართულ ლაპარაკშიაც წამოურევენ ხოლმე. ახალგაზრდობა ხომ თითქმის სულ რუსულად ჟღურტულობს, ან რუსულ-ნარევი ქართულით.

რომ სრულიად არ დაივიწყონ ქართული ენა, არ დაკარგონ მშობლიური ელფერი და შეირჩინონ თავის ქართველობა, რომლითაც დღეს ისინი ამაყობენ, ალაგირელი ქართველები მოვალენი არიან გააღვიონ და გააძლიერონ მშობლიურ ნიადაგზე კულტურული მუშაობა.

ამგვარ მუშაობის ნიშნები ეხლაც სჩანს. ალაგირელი ქართველობა საზოგადო საქმეში ადგილობრივ მკვიდრ რუსებსა და ოსებთან შედარებით მეტის ერთსულოვანებით მოქმედებს. მათ იმდენი ფხა და უნარი გამოუჩენიათ, რომ საკუთარ სკოლისთვის მშვენიერ ფართო შენობის აგება მოუხერხებია, რომელშიაც დღეს ორკლასიანი სასწავლებელია მოთავსებული, სადაც ასზე მეტი საკუთრივ ქართველი ბავშვი სწავლობს. აქ სცენის მოყვარეთა ჯგუფიც არსებობს, რომელიც დრო გამოშვებით ქართულ წარმოდგენებსა ჰმართავს გარდა ამისა, ამ ორის წლის წინად დაუარსებიათ ადგილობრივი განყოფილება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისა, რომელსაც ალაგირში უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველო გაუხსნია და კოხტად მოუწყვია. ამ სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთები საკმაოდ მოსდის, მხოლოდ ხალხისთვის საკითხავი წიგნები ნაკლებად აქვს. ადგილობრივი შეგნებული ქართველობა მოვალეა უფრო მტკიცედ შემოიკრიბოს თავიანთ სკოლის, წერა-კითხვის საზოგადოების და სამკითხველოს გარშემო. თუ საზოგადოების შეგნებულ ნაწილის ყურადღება და თანაგრძნობა იქმნება, სამკითხველო, დღეს ღარიბი, წიგნებითაც გამდიდრდება და უფრო მეტს ნაყოფს გამოიღებს.

სტუმარი.

## დაბა-სოფლები

**ს. ჯუთა.** ეს სოფელი შედის ქვემოხევის საზოგადოების ნაწილში, სადაც 40 კომლი მცხოვრები ხევსურია. ეს ხევსურები თუმცა ტომით და სარწმუნოებით იგივე ქართველებია, რაც ჩვენ მოხევეები, მაგრამ ზნეობრივათ დიდი განსხვავება აქვს ხევის ხალხთან. ამათ შეთვისებული აქაურ სისხლის მაძიებლობა, არა მარტო იმ მტრისა, რომელიც პირდაპირ მტერია ანუ მკვლელი, არამედ ზდევნიან ჩამომავალს მკვლელისას ანუ კიდევ მახლობელს ნათესავს ახდევინებენ დამნაშავის სისხლს. მაგალითად დღეს 12-ს ამ თვეს სოფ. ჯუთაში მცხოვრებმა (12 წლის ყმაწვილმა) თოფით მოჰკლა თავისივე მეზობელი და თანამეგვარე დავით არაბული 34 წლის ვაჟკაცი. მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამ დავითის ბიძას, [illegible] მოეკლა რამდენიმე წლის წინათა. ასე, რომ ეს მკვლელობა როგორც ხალხი ამბობს 73 წლის წინეთ ყოფილა და ეხლა 12 წლის ბალღმა ხევსურმა შური იძია. სამწუხაროა ასეთი რამე მაგრამ სად არის ჯერ ჩვენში გონებით განვითარება? სწავლა, სწავლა და სწავლა!

კალმის-წვერა.

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ისაკ გიორგის ძე ალხანაშვილს, რომელიც ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების ნუკრიანის (სიღნაღის) სკოლას ეს ორი წელიწადია ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“-ს უწერს. აგრეთვე მადლობას უძღვნით გაზეთ „საქართველო“-ს გამომწერს.

მასწავლებლები.

რედაქტორ-გამომცემელი

**ხანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | № | ს. წ. |
|---|---|---|
| ბათომისკენ სამგ. მ. | 9 | 8.53 სალ. |
| „ საფ. „ | 3 | 9.58 დილ. |
| ხაშურისკენ სამგ. „ | 19-20 | 3.20 ნაშ. |
| ბაქოსკენ ჩქარი „ | 4 | 10.20 სალ. |
| „ ჩქარი „ | 6 | 12.8 დღის |
| „ სამგ. „ | 8 | 11.13 ღამ. |
| ყარს-ერევნ. საფ. „ | 4-3 | 11.13 ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | № | ს. წ. |
|---|---|---|
| ბათომიდან საფ. მ. | 4 | 9.30 სალ. |
| „ სამგ. „ | 10 | 9.51 დილ. |
| ბაქოდან საფ. „ | 3 | 9.3 დილ. |
| „ ჩქარი „ | 5 | 7.41 სალ. |
| „ სამგ. „ | 7 | 1.42 ნაშ. |
| ხაშურიდან სამგ. „ | 19-20 | 7.25 დილ. |
| ყარს-ერევნ. საფ. „ | 4-3 | 8.8 დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა

**„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).**

ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძიძიგურები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

**განყოფილება ავლაბარში**

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.